

**ნებტან კუტივაძე**  
(საქართველო, თბილისი)

## **მოდერნისტული ესთეტიკა და შიო არაგვისპირელის პროზა**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა და ფილოსოფიურმა კონცეფციებმა არსებითად განსაზღვრა ახალი – მოდერნისტული ესთეტიკის ჩამოყალიბება. ლმერთის არსებობაში დაეჭვებულ, უზარმაზარ სამყაროში საყრდენის გარეშე დარჩენილ ადამიანს საყოველთაო შიში დაეუფლა და სკეპსისმა შეიძყრო. შესაბამისად, მოდერნისტულმა ხელოვნებამ სამყაროს აღქმის ახალი მოდელი შემოგვთავაზა. მისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და ღირებული აღმოჩნდა ადამიანის ცნობიერი თუ ქვეცნობიერი, ნამიერი განცდანი და შთაბეჭდილებანი, უფრო ღრმა გრძნობები, დაფარული სულიერი შრეები, ხილულის უხილავი მხარეები და ა.შ.

ამ პერიოდის, და არა მხოლოდ ამ პერიოდის, ქართული კულტურა ცდილობს მისდიოს ევროპაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, რაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით აისახება ამ პერიოდის ქართული მწერლობის განვითარებაზე. XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში ასპარეზზე გამოდის მწერალთა ახალი თაობა, რომელთაც არაერთი საყურადღებო ტენდენცია შემოიტანეს ეროვნულ მწერლობაში. მათ შორისაა ქართული ფსიქოლოგიური ნოველის ერთ ფუძემდებლად მიჩნეული შიო არაგვისპირელი.

მოდერნიზმის ესთეტიკა, როგორც ცნობილია, პრაგმატიზმის, ინტუიტივიზმის, ფსიქოანალიზისა და სხვა ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მოძღვრებათა საფუძველზე ჩამოყალიბდა, იმთავითვე უარყო წინა ლიტერატურული გამოცდილება, თუმცა სწორედ ტრადიციის კარგად გააზრების შედეგად შეეცადა ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმები დაემკვიდრებინა მწერლობაში. მართალია, ქართულ მწერლობაში პირველი მოდრენისტული მანიფესტი და, შესაბამისად, ამ ესთეტიკის ირგვლივ გაერთიანებული ლიტერატურული ჯგუფი 1910-იანი წლების მეორე ნახევარში (1916) ჩნდება, მაგრამ 1890-იანი წლებიდან ქართველ ავტორთა ნაწარმოებებში თვალსაჩინოა ახალი ტენდენციები.

შიო არაგვისპირელი, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი საყურადღებო პროზაკოსია. მის ნაწარმოებებში ნაწარმოჩენილ ფსიქოლოგიზმსა და პერსონაჟთა სულიერი პლასტების მხატვრულ ინტერპრეტაციას იმთავითვე მიაქციეს ყურადღება და მწერლობის განვითარების ახალ შესაძლებლობად მიიჩნიეს. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ფილოსოფიური და სოციალური პირობებით გამოწვეულ პესიმიზმზე და ფილოსოფიურ პრობლემათა მხატვრული ინტერპეტაციის კუთხით არაგვისპირელის ნაწარმოებები იქნა გამოყოფილი (გომართელი 1966: 299).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია კიტა აბაშიძის შეხედულებები. ცნობილმა კრიტიკოსმა თავის არაერთ პუბლიკაციაში გაამახვილა ყურადღება ნოველისტის შემოქმედების თავისებურებებზე, ცალკე წერილი მიუძღვნა არაგ-

ვისპირელის პირველ წიგნს, ბოლოს კი თავისი „ეტიუდების“ დამატებაში შეიტანა სტატია შიო არაგვისპირელზე.

კიტა აბაშიძე მწერლის ნოველებში წარმოჩენილი მხატვრული სისტემის დახასიათებისას მოიშველიებს სიმბოლიზმსაც და აღნიშნავს, რომ „ბ-ნი არაგვისპირელი საზოგადოდ ლიტერატურის ახალი მიმართულების გამომხატველია. სიმბოლიზმის იმ შტოს ეკუთვნის, რომელსაც ჩვენ ნეორომანტიკებს ვეძახით. მის თხზულებებში კი გატარებულია ის აზრები და გრძნობები, რომელიც აღელვებს თანამედროვე მონინავე საზოგადოებას. ბ-ნი არაგვისპირელი მშვენივრად გაგრძნობინებს თანამედროვე უსასოებასა და ურნმუნოებას“, – წერს კრიტიკოსი, აღნიშნავს, რომ „ახალთაობის საყვარელი“, „მჭმუნვარებით აღბეჭდილი ახალგაზდა მწერლია“, „რომელსაც ბედმა არგუნა ჩვენს მწერლობაში ახალი ხანის დაწყება“ (აბაშიძე 1962: 426).

მართალია, აქ კიტა აბაშიძე სიმბოლიზმსა და ნეორომანტიზმს შორის იგივე-ობის ნიშანს სცამს, მაგრამ ახალი ხანა, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს თავითი დროის ქართული ლიტერატურული კრიტიკის მეტრი, სხვადასხვა მხატვრულ მეთოდს გულისხმობს და განპირობებულია იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ნაცნობი თემების განსხვავებული მხატვრული ინტერპრეტაციის ინდივიდუალური მანერით, ნინა პლანზე ისეთი სულიერი პლასტიკებისა და ფსიქოლოგიური დეტალების წამოწევით, რომლებიც მაშინდელი მკითხველისათვის უჩვეულოა.

საგულისხმოა კიტა აბაშიძის მიერ 1909 წელს გამოქვეყნებული „მცირე განმარტება“. „მე საყურადღებოდ მიმაჩნდა ა. დეკანოზიშვილისა და ივ. ზურაბიშვილის მწერლობა, როგორც ახალი მოტივების შემტანი ჩვენს ლიტერატურაში, როგორც ახალი სკოლის (რომელსაც თავში ვაჟა-ფშაველა უდგია, თავის პატარა ეტიუდებით, და მერე – შიო არაგვისპირელი) საყურადღებო წევრთა შემოქმედება, ეს იყო ჩემი ღრმა და გულწრფელი რწმენა“, – წერდა კრიტიკოსი (აბაშიძე 1971: 337). შიო არაგვისპირელთან დაკავშირებულ ამ მოსაზრებას იგი გამოთქვამს თავის „ეტიუდებში“ ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგზე დაწერილ გამოკვლევებშიც (აბაშიძე 1962: 213, 262, 297). ამასთან ნოველისტის მიერ სიმბოლისტური მანერით შესრულებულ ნანარმოებად „ესაა ჩვენი ცხოვრება“ და „ჩემო შვინდავ“ მიიჩნია და ავტორი მოიხსენია ა. შანშიაშვილთან, ი. გრიშაშვილთან, ჯ. ჯორჯიკიასა და ა. ჭუმბაძესთან ერთად (აბაშიძე 1962: 370).

ცხადია, რომ კიტა აბაშიძემ „ეტიუდებში“ შიო არაგვისპირელის შესახებ გამოქვეყნებულ წერილში შეტანილ ცვლილებაში ნოველისტის სიმბოლისტურ-ნეორომანტიკულ სკოლაზე მიკუთვნებით, ფაქტობრივად, გაამყარა საკუთარი შეხედულება, რომ შიო არაგვისპირელი, ერთი მხრივ, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მემკვიდრეა და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი სიახლეების შემომტანია XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ მწერლობაში. ის მოდერნისტული ტენდენციები, ესთეტიკაც, რომელმაც თვისებრივად შეცვალა XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურა, მეტ-ნაკლებად გამოვლინდა ორი საუკუნის მიჯნის მწერლობაში, შიო არაგვისპირელის ნოველებშიც და კიტა აბაშიძეს ეს ნამდვი-

ლად არ დარჩენია შეუმჩნეველი, რაზეც კარგად მეტყველებს მისი როგორც XIX საუკუნის დასასრულს გამოქვეყნებული წერილები, ისე 1900-იანი წლების ლიტერატურულ პროცესებზე გამოთქმული მოსაზრებანი.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართულ მწერლობაში გამოვლენილი ფსიქოლოგიზმის თავისებურებების ანალიზისას აქცენტირებულია „იმპრესიონისტული ხელოვნების დამახასიათებელი ელემენტებიც“ (ლამბაშიძე 1977: 144), რომლებიც შიო არაგვისპირელის შემოქმედების უანრული სპეციფიკის განმსაზღვრელ ფაქტორადაც შესაძლებელია იქნას მიჩნეული („ეეხ, მეტივე“, „ეჲ“, „ადე, ჩამოვიდა“...) (ლამბაშიძე 1977: 147).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, ნაკლებად ნამოწევდა ამგვარ თემებს და, ბუნებრივია, არაერთი მწერლის შემოქმედების ეს მხარე კვლევის საგანი არ გამხდარა. პოსტ-საბჭოთა ეპოქაში სულ უფრო აქტუალური გახდა ამ მხრივ XIX საუკუნის დასასრულის ქართული მხატვრული ლიტერატურის შესწავლა და არაერთი საყურადღებო ტენდენცია გამოვლინდა. დღეს საკამათოც კი აღარაა, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნის ავტორები თავისებურ საფუძველს უმზადებენ ლიტერატურის განახლების თვისებრივად ახალ საფეხურს. „საუკუნეთა მიჯნაზე შეინიშნებოდა ქართული პროზის მოდერნიზაციის მცდელობანი: ფორმის გადახალისებისა და სამყაროს ახლებური ნარმოჩენის ჭრილში“ (ავალიანი 2016: 45), – აღნიშნავს ლალი ავალიანი, რომელიც არაგვისპირელს, ვასილ ბარნოვსა და ჭოლა ლომთათიძესთან ერთად, „მოდერნიზმის მესაძირკვლედ“ მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ სამივე მჭიდროდ არის დაკავშირებული XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურასთან.

შემთხვევითი, ალბათ, არაა, რომ ქართული და უკრაინული მოდერნისტული ნოველის კომპარატივისტული ანალიზისას ნიკო ლორთქიფანიძის ნოველებთან ერთად შესწავლილია შიო არაგვისპირელის თხზულებებიც და არაერთი საყურადღებო მომენტია გამოვლენილი (ხევდელიძე 2006: 63-65).

არაგვისპირელის შემოქმედების მთავარი გმირი მოდერნისტული ესთეტიკის მსგავსად აღქმული ადამიანია, რაც მწერლის არაერთ ნაწარმოებში ვლინდება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევა ნოველები: „ესაა ჩვენი ცხოვრება“, „ახალ წლის დამეს“, „ჩემო შვინდავ“, „გრძნეული ციხე“, „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“, „ხითხითებს და ხითხითებს“, „ბალლი ყოფილხარ“, „ადამიანი“ და სხვ. ამ ნოველებში იოლი აღმოსაჩენია სკეპტიციზმი, ადამიანის არსებობის საზრისში დაეჭვება და მსოფლმხედველობრივი საყრდენის მოშლა, რაც მთავარია, მის მიერ საკუთარი თავის უსუსურ არსებად აღქმა. შესაბამისად, წინა პლანზე გადმოდის დეპერონიზებული გმირი („შემუსვრილი სამი მცნება“), რომელსაც აღარ შეუძლია იტვირთოს მეფის პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე და ფილოსოფიურ კითხვაზე (რა არის ადამიანი?) პასუხის ძიების საბაბით საერთოდ გაერიდოს ადამიანთა სამყაროს, ტყეში განმარტოებულის გამოცდილება კი მას, უკვე დაუძლურებულს, კვლავ საწყის წერტილთან აბრუნებს; არა მხოლოდ სიცოცხლის აბსოლუტურ ამაოებას შეაგრძნობინებს, არამედ თავად ამ კითხვის წამოჭრის აბსოლუტურ უპერსპექტივობასაც მკაფიოდ აჩვენებს. ნიშანდობლივია

მხატვრული მეთოდიც – უძველესი ეპოსის („რამაიანას“) ალუზირება, რომელიც აირჩია ამ საკითხის რეპრეზენტირებისას მწერალმა და რომელიც სწორედ მო-დერნისტული ესთეტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

მოდერნისტული ესთეტიკა მკაფიოა არაგვისპირელის ერთ-ერთ საყურადღებო ნაწარმოებში – „ეჭ., ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი“, რომელშიც ბესტიალური საწყი-სის აქცენტირებით ადამიანის დეგრადირებაა ასახული იმგვარად, რომ სიუჟეტის განვითარებაში თანაბრად მონაწილეობს ცხადი და წარმოსახული, თუმცა, თუ სოსო სიგუას ვერწმუნებით, „კოშმარი და ნალველი ახალი ხელოვნების ულევი წყა-როა. მაგრამ შიო არაგვისპირელს არ ჰქონდა სიმბოლისტური ხედვა, სიმბოლის-ტური სტილი და ხერხების არსენალი, მაშინაც, როცა ცხოვრებას სცილდებოდა“ (სიგუა 2002: 33). ამგვარი ხედვის მიუხედავად, ნოველა ფსიქოლოგიური შრეებით, ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის წაშლილი ზღვრით, მეტაფორიზაციის ხარის-ხით აშკარად ემიჯნება რეალისტური პრობის მხატვრულ ფორმას.

მეცნიერი რამდენადმე განსხვავებულად აფასებს ნოველას – „დიდედა მარიამი და ხატურა“, რომელსაც „მარტომბით განაწამები ადამიანის აპოლოგიას“ უწო-დებს. „ნოველაში იგრძნობა მოახლოებული მოდერნიზმის სუნთქვა და თხრობაში შემოდის მისტიკური ხილვა, ჯერჯერობით რეალისტურ ხატვას, რომ არ გასცი-ლებია“ (სიგუა 2002: 32). ამგვარი დამოკიდებულების გათვალისწინებით, აპო-ლუტურად უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ თუნდაც ამ ორი ნაწარმოების საფუძველზე არაგვისპირელი ახალი მხატვრული დეტალებით სცილდება ტრადი-ციულ რეალისტურ პროზას, რომელიც მის ეპოქაში იქმნებოდა, მით უფრო, რომ თავისი „ფსიქოლოგიური ეტიუდებით“ „ახალ კარს უღებდა ქართულ პროზას და ამ კარიდან ევროპისაკენ ახედებდა ახალბედა თანამოკალმებს“ (სიგუა 2002: 32). ეს დეტალი, ზოგადად, შემოქმედებითი ძიებისა და სიახლეებისაკენ მუდმივი სწრაფვის გამოხატულებაა, ყველა ეპოქაში რომ ახასიათებდა ქართულ ლიტერატურას და ქართულ კულტურას მთლიანად.

მოდერნისტული ესთეტიკის მახასიათებელი კარგად ვლინდება სხვა ნოველებ-შიც, მაგალითად: „ადე, ჩამოვიდა“, „გმადლობ, უფალო, გმადლობ!..“ ორივე ეს თხულება ცნობიერისა და ქვეცნობიერის მონაცვლეობით ხაზს უსვამს დამორე-ბას დაფარულსა და ხილულს შორის, ადამიანურობის დაკარგვის გზაზე დამდგა-რი ადამიანის სულიერად კვდომის საფრთხეს. ამგვარად შეიძლება იქნას გააზრე-ბული ეტიუდი „ი..ყუ...ჩე!“, რომელშიც სწორედ ნაწყვეტ-ნაწყვეტი, წარმოსახუ-ლისა და რაციონალურის ფრაგმენტები ერთიან ტექსტს ქმნის და გმირის შინაგან რღვევასა და ამით წარმოშობილ ტკივილს აჩვენებს.

არაგვისპირელის ნოველა – „ღმერთო, რა დაგიშავე“ პირდაპირი გამოძახილია საუკუნის დასასრულის განწყობილებისა და ღვთის არსში დაჭვებისა. აქ წარ-მოდგენილია მხურვალედ მლოცველი ბერი, რომელსაც „დასცინის გონება“. ეს გაორება საბოლოოდ მიწიერი ცხოვრების უპირატესობის აღიარებით სრულდე-ბა, თუმცა, ზოგადად, ეს მოტივი ამ პერიოდის ევროპულ, რუსულ თუ ქართულ მწერლობაში კარგად დამუშავებული მოტივია და არაგვისპირელიც თავისი ნაწარ-

მოებით მას ეხმიანება, თუმცა არ შეიძლება უგულებელვყოთ მისი სასულიერო განათლება. საყურადღებოა, ასევე, „საშობაო ჩვენება“, ერთგვარი ფანტასმაგორია, რომელიც ავტორის სკეპსისს ძალზე ნათლად გამოხატავს. ჩვენების შედეგად გმირს არავითარი ეჭვი აღარ აქვს, რომ „კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2:14) აღარას-დროს დაისადგურებს და გამოდის, რომ ქრისტეს მცნებებმაც არაფერი შეასწავლა კაცობრიობას.

როდესაც ვსაუბრობთ მოდერნიტული ესთეტიკის მხატვრულ მარკერებზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არაგვისპირელის თხზულებებში ნოველი-სათვის დამახასიათებელ შეკრულ სიუჟეტთან ერთად გამოკვეთილია შინაგანი მონოლოგი, სიზმარ-ცხადის მონაცვლეობა, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია ნაწარმოების დედააზრის გასახსნელად („ახალ წლის ღამეს“, „ჰარამხანის სურათი“), ასევე, მნიშვნელოვანია ავტორისა და მთხობელის გამიჯვნა, რომელიც არაერთ თხზულებაში ნარმატებით გამოიყენა მწერალმა (...მხრები-ლა ავიჩეჩე“, „მელოს დღიურიდან“, „წერილის ნაგლეჯი“, „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ!“...). ცნობილია, რომ ავტორის ნილბის მხატვრული ფუნქცია მოდერნისტულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია და მოდერნისტული მხატვრული ტექნიკის საყურადღებო დეტალადაა მიჩნეული.

არაგვისპირელის შემოქმედებაში ერთგვარად ცალკე დგას ნოველა – „მელოს დღიურიდან“. ტექსტი დღიურების ფორმით, ფრაგმენტულად მოთხრობილი ერთი ამბავია (გმირის განცდები საკუთარი მარტობის გამო). აღსანიშნავია ისიც, რომ ნარატორი ქალია (ავტორის ნიღაბი). ნაწარმოებში სარკეს სიუჟეტური დატვირთვა აქვს მინიჭებული და გმირის, მელოს, წარმოსახვაში გათამაშებული ამბავიც შინაგანი პროტესტია მწვავე გენდერული პრობლემის არსებობის, ქალისა და მამაკაცის არათანაბარუფლებიანობის გამო, რაც რეალისტური მანერით გადმოცემულია ნოველაში – „ვაი, ჩვენი ბრალიც“. განსხვავებულ ხერხს მიმართა არაგვისპირელმა სხვა ნაწარმოებებში („ბეჩა, რადა მკლავ?!“, „...მძულხართ...“), თუმცა ამჯერად ჩვენთვის საგულისხმო სწორედ ის მხატვრული მეთოდია, რომელიც პროზაიკოსმა გამოიყენა დღიურების სახით დაწერილ ტექსტში.

არანაკლებ განსხვავებულია ნოველა – „ჩემი პირველი სიყვარული“, რომლის სიუჟეტის მთავარი სტრუქტურული ელემენტი ცნობიერისა და ქვეცნობიერის ფსიქოლოგიურ პლასტებია და ფრონიდის თეორიის საგულისხმო მხატვრული ინტერპრეტაციაა მოცემული\*.

მრვალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია არაგვისპირელის ფანტასტიკური ეტიუდი (ჟანრის ავტორისეული განსაზღვრება) – „გრძნეული ციხე“, რომელშიც ერთ-ერთი გმირი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „...გაკვრით აგინერ, რაც ჩემმა თვალებმა იხილეს, და შენ კი შენს ფანტაზიას ძალა დაატანე სურათის შესავსებად“ (არაგვისპირელი 1947: 84). გარდა იმისა, რომ, ზოგადად, ცალკეული ეპიზოდებითა და ფრაგმენტებით შედგენილი დასრულებული ამბავი მოდერნისტული ტექ-

\* იხ. ნესტან კუტივაძე, განდევნილი განცდა და მხატვრული ლიტერატურა. „სჯანი“, შურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნებაში, №17, თბილისი, 2016, გვ. 52-62.

სტის ერთ-ერთი მახასიათებელია, შემოქმედებით პროცესში მკითხველის თანამონაწილეობის თვალსაზრისით არაგვისპირელის ნოველას ეხმიანება თითქმის ათი წლის შემდეგ დაწერილი ნიკო ლორთქიფანიძის „უიალქნოს“ ასეთი სიტყვები: „მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის...“ (ლორთქიფანიძე 1958: 71). მიუხედავად ამ ორ შეხედულებას შორის არსებული განსხვავებისა, საერთოა გადმოსაცემი ამბის დაწვრილებით თხრობაზე, ზუსტ დეტალიზაციაზე უარის თქმა და მკითხველის წარმოსახვისათვის უპირატესობის მინიჭება, რაც სწორედ მოდერნიზმისათვისაა ნიშანდობლივი.

როდესაც მოდერნისტული ესთეტიკისა და შიო არაგვისპირელის ნაწარმოებების მიმართების საკითხი დგება, ნიშანდობლივია, როგორ აისახება მწერლის შემოქმედება უცხოელ მეცნიერთა შრომებში. ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ცნობილი უცხოელი მკვლევარი დონალდ რეიფილდი მიიჩნევს, რომ არაგვისპირელი ევროპელი ტიპის მწერალია, აღნიშნავს, რომ მისი “A Maeterlinckian drama Prince Shio (შიო თავადი, 1905), which took a Symbolist view of Georgian history, failed, but his one novel, sentimental idealizing the love of a princess and a goldsmith, A Fractured Heart (გაბზარული გული, 1920), pleased Soviet critics, who abhorred his earlier gruesome Expressionism” („მეტერლინგური დრამა „შიო თავადი“, რომელშიც მოცემული იყო საქართველოს ისტორიის სიმბოლისტური გააზრება, წარუმატებელი იყო, მაგრამ მისი ერთი რომანი, პრინცესისა და ოქრომჭედლის სიყვარულის სენტიმენტული იდეალიზაცია („გაბზარული გული“), მოიწონა საბჭოთა კრიტიკამ, რომელმაც ადრე დაგმო მისი შემზარვი ექსპრესიონიზმი“ (თარგ. – ნ.კ.) (რეიფილდი 2013: 181). მართალია, მეცნიერი არ განავრცობს საკუთარ შეხედულებებს და საკმაოდ ფრაგმენტულ ანალიზს გვთავაზობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არაგვისპირელის შემოქმედების ეს ძალზე სქემატური დახასიათება, უპირველეს ყოვლისა, მის პროზაში მოდერნისტული ტენდენციების არსებობას უსვამს ხაზს.

არაგვისპირელის „შიო თავადისა“ და მეტერლინგის ცნობილ პიესას – „მონა ვანა“ მართლაც აქვს გადაკვეთის წერტილები, რომლებიც, უმთავრესად, ნაწარმოებთა სტრუქტურულ თანხვედრაში გამოიხატება. არაგვისპირელის „ისტორიული ლეგენდა სამ მოქმედებად“ ეყრდნობა ლეგენდას, რომელიც მოთხრობილი აქვს პოტოს\* და რომელიც საკმაოდ გავრცელებული ყოფილა მაშინდელ ქართულ მწერლობაში. ამის შესახებაც თავად ავტორი მიგვანიშნებს, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად იცნობდა ქართველი ნოველისტი მეტერლინგის შემოქმედებას და, კერძოდ, ამ პიესას, თუმცა „შიო თავადის“ (1905) გამოქვეყნებამდე ქართულად დაიბეჭდა მეტერლინგის „დაუპატიიჟებელი“. თხზულებაში ავტორი სამშობლოს დასაცავად თავგანწირვის იდეას ასხამს ხორცს, მაგრამ არ ხატავს დაუმარცხებელ, გაუბზარავ გმირს, პირიქით, ავტორმა პატრიოტიზმით ანთებული, მაგრამ საკუთარ გადაწყვეტილებაში დაეჭვებული თავადი გამოიყვანა. შემთხვევითი არ არის,

\* პოტოს. საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო. ტფილისი, 1894.

ალბათ, არც ის ფაქტი, რომ თავის პიესას მწერალმა საფუძვლად ლეგენდა და-უდო და არა რამე ისტორიული ფაქტი\*, რასაც არაერთ შემთხვევაში მიმართავს პროზაიკოსი, თუმცა მისი მზერა მუდმივად თანამედროვეობისკენაა მიპყრობილი.

აღსანიშნავია, რომ არაგვისპირელის კონკრეტულ თხზულებებში მოდერნისტულ ესთეტიკაზე საუბრისას უმეტესად სიმბოლიზმის, ექსპრესიონიზმის, უფრო იშვიათად იმპრესიონიზმის ნიშნებს გამოკვეთენ, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად მხატვრულ ტექსტში მოდერნისტული კონცეფციის მქონე სხვადასხვა მიმდინარეობის მარკერებს შორის საკმაოდ მყიფე ზღვარია.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ შიო არაგვისპირელის პროზა სხვა თავისებურებებთან ერთად მყაფიოდ ამჟღავნებს მოდერნიზმის მხატვრულ ნიშნებს. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია წარმავლობის გამძაფრებული განცდა, ყოფითი პრობლემების წინაშე მდგარი და საკუთარი არსებობის საზრისზე დაფიქრებული დეპერონიზებული ადამიანი, პესიმიზმი, რომელსაც ერთნაირად განაპირობებს სოციალური ფაქტორები და ფილოსოფიური შეხედულებები, ასევე, საყურადღებოა სტილისტური და უანრობრივი თავისებურებებიც, მცირე პროზის სპეციფიკური მახასიათებლები. რა თქმა უნდა, ამ კუთხით არსებითი სიახლეები XX საუკუნის ათიანი წლებიდან მკვიდრდება, მაგრამ ქართული მწერლობის „ევროპული რადიუსით“ გასამართავად ნიადაგის მომზადებაში XIX-XX საუკუნეების მიჯნის მწერლებიც მონაწილეობენ. შიო არაგვისპირელს მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

#### დამოცვებანი:

**აბაშიძე 1962:** აბაშიძე, კ. ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962.

**აბაშიძე 1971:** აბაშიძე, კ. ცხოვრება და ხელოვნება. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971.

**ავალიანი 2016:** ავალიანი, ლ. „ქართული მოდერნიზმის სათავეებთან“. წიგნში: ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.

**არაგვისპირელი 1947:** არაგვისპირელი შიო. თხზულებათა სრული კრებული. ტ. II, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1947.

**გომართელი 1966:** გომართელი, ი. რჩეული თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966.

**ლორთქიფანიძე 1958:** ლორთქიფანიძე, ნ. თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1958.

**რეიფილდი 2013:** Rayfield, D. *The Literature of Georgia: A History*. Second, revised edition. Caucasus World, 2013.

\* იხ. ნესტან კუტიგაძე. შიო არაგვისპირელის პიესა – „შიო თავადი“. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, XVIII, ქუთაისი, 2008, გვ. 127-130.

**სიგუა 2002:** სიგუა, ს. ქართული მოდერნიზმი. თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 2002.

**ღამბაშიძე 1977:** ღამბაშიძე, ნ. სუბიექტური განწყობის ზოგიერთი შტრიხი ქართულ მწერლობაში. ჟურნ. ცისკარი, №2, 1977.

**ხვედელიძე 2006:** ხვედელიძე, რ. მოდერნისტული ნოველა ქართულსა და უკრაინულ ლიტერატურაში. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006.

**Nestan Kutivadze**

(Georgia, Tbilisi)

## Modernist Aesthetics and Shio Aragvispireli's Prose

### Summary

**Key words:** modernism, symbolism, expressionism, pessimism, a de-heroized man.

The scientific discoveries and philosophical concepts that took place in the second half of XIX century essentially determined the formation of a new modernist aesthetic. A man, who was doubtful of the existence of God and left without a foothold in a vast world, was overcome by universal fear and skepticism. Consequently, modernist art has offered us a new model of world perception. The human consciousness or subconsciousness, momentary feelings and impressions, deeper feelings, hidden spiritual layers, invisible sides of the visible, etc. were equally important and valuable to it. Georgian culture of this period, and not only of this period, tries to follow the current literary processes in Europe, which more or less are intensively reflected on the development of Georgian literature of this period. A new generation of writers entered the arena in the Georgian literature of the 90s of XIX century, who introduced a number of noteworthy tendencies in the national literature. Shio Aragvispireli is among them and is considered to be one of the founders of the Georgian psychological novella.

It is true that in Georgian literature the first modernist manifesto and, consequently, the literary group united around this aesthetics appeared in the second half of the 1910s (1916), but new tendencies are clearly visible in the works of Georgian writers from the 1890s.

In this respect Shio Aragvispireli is one of the most notable creators, whose prose, along with other features, clearly reveals the artistic characteristics of modernism. In this regard, it is noteworthy that there is an intensified sense of ephemerality, a de-heroized person facing everyday problems and thinking about his own existence, pessimism, which is equally conditioned by social factors and philosophical views. The stylistic and genre peculiarities, the specific characteristics of miniature prose are noteworthy as well. Of course, much more significant novelties in this regard date back to the 1920s, but writers at the turn of XIX-XX centuries also took part in preparing the ground for including the Georgian literature within the 'European radius'. Shio Aragvispireli occupies an important place among them.